სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

28 იანვარი 2025

N 05/259

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი, 2025 წლის 27 იანვრის №6/3640 წერილის პასუხად, რომელიც ეხება თბილისის აეროდრომის დაცვის არეში მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, საკადასტრო კოდით 01.19.14.003.137 პრივატიზების საკითხს, გაცნობებთ, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს აღნიშნული ნაკვეთის პრივატიზირების საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა არ გააჩნია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებას ექვემდებარება იმ შენობა-ნაგებობების განთავსება, რომელთა სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან (MSL), EGM-96 სისტემაში (დედამიწის 1996 წლის გრავიტაციული მოდელი) აღემატება აეროდრომის რაიონის შეზღუდვის არეალის დადგენილ სიმაღლეებს, რა დროსაც სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნას განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც მოცემულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე - https://gcaa.ge/aerodrome-safeguarding/.

პატივისცემით,

გივი დავითაშვილი

დირექტორი

ხელმძღვანელობა

ელექტრონული ხელმოწერა/ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED